# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N232

**თბილისი** **14 დეკემბერი, 2016 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ - **ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **ირაკლი ფურცელაძის** სახით
და
მეორეს მხრივ - **შპს „მსოფლიო ვარსკვლავები“** (შემდგომში - მიმწოდებელი),წარმოდგენილი დირექტორის **ეკატერინე ყურაშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ა(ა)იპ-ის 2016 წლის საკუთარი შემოსვლების სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) ”შემსყიდველსა” და ”მიმწოდებელს” შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს ”შემსყიდველმა” ”მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „შესყიდვის ობიექტი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი საქონლის სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში-საქონელი):

| N | საქონლის დასახელება | რაოდენობა ცალი | ერთეულის ფასი ლარი | ჯამური ფასი ლარი | CPV კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მედალი** | 45.00 | 4.00 | 180.00 | 18512200 - მედლები |
| | | | | *სულ, თანხა* | ***180.00*** |

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ეროვნულ ვალუტაში შეადგენს **180,00 (ასოთხმოცი) ლარს.**
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1. ”მიმწოდებელი” უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ”შემსყიდველის” მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის შეჩერებულია ”შემსყიდველის” მიზეზით.
4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ”მიმწოდებლის” ადგილსამყოფელი.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
5.3. ”შემსყიდველის” მხრიდან, დირექტორის გარდა, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე და საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირია შემსყიდველის ლოჯისტიკის სპეციალისტი **ალექსანდრე ჯანიაშვილი**, რომელიც არ იმყოფება ”მიმწოდებელთან” ინტერესთა კონფლიქტში.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **"შემსყიდველი" უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. **"შემსყიდველი" ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს "მიმწოდებლის" შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

7.3. **"მიმწოდებელი" უფლებამოსილია:**

ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **"მიმწოდებელი" ვალდებულია:**

ა) შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ბ) დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 **„შემსყიდველი" უფლებამოსილია:**

ა) სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისქინებულ პირობებთან.

8.2 **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. **„მიმწოდებელი" უფლებამოსილია:**

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

9.5. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4. მხარე ვალდებულია 10.3. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.